„მთავარი არხის" პოზიცია დაჩი ცაგურიას განცხადებაზე

სადავოდ გამხდარ სიუჟეტში ბექა ყორშიამ გამოხატვის თავისუფლების ფარგლების დაცვით შეაფასა საჯარო პირის, ბექა ცაგურიას საქმიანობა. როგორც ბექა ცაგურიას საქართველოს რკინიგზის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ბიოგრაფიაშია[1] ნათქვამი, მისი სამუშაო გამოცდილება მთლიანად საქართველოს რკინიგზას უკავშირდება, 2013 წლიდან იგი სხვადასხვა მაღალ თანამდებობას იკავებს, მისი პირველი პოზიცია რკინიგზის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის პოზიციაა. ეს ფაქტი გარკვეულ შეკითხვებს ბადებს, იმის გათვალისწინებით, რომ მის ბიოგრაფიაში ამ მაღალ პოზიციამდე წინარე სამუშაო გამოცდილებაზე არაფერია ნათქვამი.
იმ კითხვაზე პასუხად, თუ რა დოკუმენტების/მტკიცებულებების საფუძველზე იყო აღნიშნული, რომ დაჩი ცაგურია 2012 წლიდან მუშაობს სს „საქართველოს რკინიგზის" მგზავრთა გადაყვანის ფილიალის დირექტორად, გპასუხობთ, რომ სადავო სიუჟეტში დაჩი ცაგურიას თანამდებობრივ სტატუსს საქართველოს რკინიგზაში იმ მიზეზით გაესვა ხაზი, რომ იგი საკმაოდ მაღალ პოზიციებს იკავებს უკანასკნელი 9 წელია, მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნების" გუნდი მოვიდა ხელისუფლებაში. აქცენტი აქ არა კონკრეტულ თანამდებობაზეა გაკეთებული, არამედ იმ გარემოებაზე, რომ მისი დაწინაურება და კარიერული წინსვლა სწორედ ამ პოლიტიკურ პარტიასთან არის აფელირებული და მთლიანად უკავშირდება საქართველოს რკინიგზას. დღევანდელი მისი სტატუსი, მგზავრთა გადაყვანის ფილიალის დირექტორად მისი დანიშვნა სწორედ ამ პროცესის გაგრძელებაა, რაც დასტურდება-კიდეც მის ავტობიოგრაფიაში მითითებული ცნობებით. შესაბამისად, იმაზე აპელირება, თუ კონკრეტულად რომელი წლიდან იკავებდა იგი რაიმე სპეციფიკურ პოზიციას რკინიგზაში, არ ცვლის იმ ფაქტს, რომ განმცხადებლის კარიერა დაკავშირებულია მმართველი რეჟიმის ცვლილებასთან და საქართველოს რკინიგზაში სხვადასხვა მაღალ თანამდებობასთან.
იმ შეკითხვაზე პასუხად, თუ რის საფუძველზე განვაცხადეთ, რომ დაჩი ცაგურიას წლიური შემოსავალი 140000 ლარია, გაცნობებთ, რომ ეს ინფორმაცია კონფიდენციალური წყაროსგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გავავრცელეთ.
რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რა კავშირია დაჩი ცაგურიასა და რკინიგზის საქმიანობას შორის, მოგახსენებთ, რომ სიუჟეტში რაიმე კონკრეტულ ქმედებაზე არ იყო მითითება გაკეთებული, საუბარი იყო იმაზე, რომ სავარაუდოდ პარტიული აფელირების მიზეზით დანიშნული პირები ამ სამსახურების გამართულ ფუნქციონირებას აფერხებენ, ზრდიან კორუფციის რისკებს და თანხების არამიზნობრივად, არაეფექტიანად ხარჯვის ალბათობას. სიუჟეტში ზოგადი დასკვნები, შეფასებებია გაკეთებული, რაც ჯდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. ეს კონკრეტული საკითხი გამომდინარეობდა მთელი სიუჟეტის მანძილზე წარმოდგენილი ინფორმაციის შეჯერება-ანალიზის საფუძველზე.

[1] https://www.railway.ge/dachi-caguria/